პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 246 (13630) | პარასკევი, 28 ოქტომბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

საოქტომბრო ნობათები

⊙ საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შ. ვერულავა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. სამხარაძე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი დ. გურული რედაქციას აცნობებენ: რაიონის მშრომელებმა პირობა გაანაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდა 1.548 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1,540 ცენტნერისა, 7.707 ცენტნერი რძე ნაცვლად 7.500 ცენტნერისა. სახელმწიფოსათვის კვერცის მიყიდვის წლიური გეგმა განაღდებულია 103,5 პროცენტით.

⊙ საბარეჯოს რაიონის მშრომელებმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა ო. საბაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. დავითაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. აჩელაშვილმა, — გადაჭარბებით შეასრულეს ხაშმოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. დათესეს 17,146 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16.949 ჰექტარისა.

თესვის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს შიბლიანის, ბოგდანოვკის, ყანჩალის, ბეთანიის, ბეთლემის და სხვა სოფლების [illegible] საბარეჯოს საბჭოთა მეურნეობამ.

⊙ ახმეტის რაიონის მევენახეებმა ყურძნის [illegible] კარგა ხანია გაანაღდეს, ახლა კი ვალდებულებაც [illegible] 7,865 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 13.870 ტონა ყურძენი. გეგმა შესრულებულია 181,5 პროცენტით. ამის შესახებ რედაქციას აცნობეს საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბაბიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ბაბურაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. ჭუნიაშვილმა.

⊙ ლენინგორის რაიონის მევენახეებმა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიური გეგმა შეასრულეს 102 პროცენტით. ყურძნის დამზადება გრძელდება. ამის შესახებ რედაქციას აცნობეს საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მარგიევმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. ღურგლიშვილმა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

27 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრებამ განიხილა დამნაშავეობის მდგომარეობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი.

მოხსენება „დამნაშავეობის მდგომარეობა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ აკადემიკოსი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ა. როდიონოვმა.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. დ. ვ. ბოგობოვა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ლ. მ. უკლობა, საქართველოს სსრ პროკურორი ამხ. პ. ვ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. ინაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. ხ. მ. ჯორბენაძე, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი ამხ. ე. ა. შუმარდნაძე, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ამხ. ი. ვ. რომანოვი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. თ. ი. მოსაშვილი, სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. კაჩმაზოვა, თბილისის მანქანათსაშენებელი ქარხნის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის მეთაური მოადგილე ამხ. ა. ბ. ჩიმბარაშვილი, საქართველოს ალკაგ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ო. ე. ჩერქეზიანი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ვ. ი. ლაპუტინმა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ა. როდიონოვმა.

განხილულ საკითხზე პარტიული აქტივის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ამხ. ნ. ბ. ულბინი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ვ. ვ. კულიკოვი.

პარტიული აქტივის კრების ანგარიში გამოქვეყნდება.

(საქდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ

გ. კ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ

დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრება

27 ოქტომბერს კოკეტლის თეატრში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც გ. კ. ორჯონიკიძის დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა. ლოგის პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ, ძველი კომუნისტები, ისინი, ვინც სერგოს უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ, მისი ძმა კ. კ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ და ქალიშვილი ᲔᲚᲔᲝᲜᲝᲠᲐ.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ᲔᲖᲝᲠᲘᲩᲔᲕᲘᲡ.

— დღეს, — თქვა მან, — სრულდება გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაბადებიდან 80 წლისთავი. ამ თარიღს ზეიმით აღნიშნავს მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი. სერგო ორჯონიკიძის სახელი მახლობელი და ძვირფასია თითოეული საბჭოთა ადამიანისთვის.

სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას ამხანაგი ორჯონიკიძე, იგი ყველგან ამყარებდა ლენინური სკოლის მოღვაწის მაღალ თვისებებს, თანამიმდევრულად იცავდა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებს.

გრიგოლ კონსტანტინეს მე ორჯონიკიძის დაბადების 80 წლისთავს მოსკოველები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ახალი ხუთწლედის ამოცანების ამოხსნისთვის თავგადადებული ბრძოლის ვითარებაში აღნიშნავენ.

ის, რაზეც ოცნებობდნენ ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა თაობები, ის, რასაც შესწორა სიცოცხლე, დღეგრძელობა სერგო ორჯონიკიძემ, თქვა დასასრულ, ნ. გ. ეზორიჩევმა, ახლა სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ხორციელდება საბჭოთა ხალხის შრომის მეოთხე ბრძოლა.

გ. კ. ორჯონიკიძის დაბადების 80 წლისთავის შესახებ მოსხენებისათვის სიტყვა ძღვება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის, სსრკ-ს პარტიის ორგანოთა ხელმძღვანელობის მინისტრს ე. ი. კოლეჟნიკოვს.

— შესრულდა გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის — დაუვიწყარი სერგოს დაბადების ოთხმოცი წლისთავი. ულრეესად ერთგული ბოლშევიკი უწოდა მას ლენინმა. ილიჩის ეს ძეგლური შეფასება ყველაზე საუკეთესოა, რაც კი შეიძლება ითქვას პროლეტარ რევოლუციონერზე.

გ. კ. ორჯონიკიძე ბოლშევიკური პარტიის რიგებში გაიზარდა. პარტიასთან ერთად დაეკვალა. კომუნისტს, რევოლუციონერის სახელოვანი გზა განვლო, ლენინის, პარტიის, ხალხის საქმის ერთგულება. კომუნიზმის გამარჯვების გარდაუვალობის ღრმა რწმენა, მებრძოლი შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც ბეჭრებდა წინსვლას, უმჯობესდა პატრონობდა და მაღალი მორალური სიწმინდე — აი სერგოს დამახასიათებელი თვისებები. ყოველივე ამის გამო მისი გამოსვლები მასების წინაშე ᲫᲘᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ მოჰხიბლავი. უაღრესად ᲫᲚᲘᲠᲘᲗᲘ და დამაჯერებელი იყო. გ. კ. ორჯონიკიძეს საგარეოლინად ეკავა ადგილი ლენინიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

მტკიცე და თანამიმდევრული ბოლშევიკი, იგი შეურიგებელი იყო მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდის, მუშათა კლასის პარტიის ერთობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ბრძოლის ერთგულების ყოველგვარი ხელყოფისადმი.

გ. კ. ორჯონიკიძის — ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მუშაკის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა მისმა მრავალი წლის მეგობრობამ ლენინთან.

1924 წლიდან, როცა ოპოზიციამ გამოიყენა ვ. ი. ლენინის სიკვდილი და გაძლიერა გამოხდომები პარტიის წინააღმდეგ, გ. კ. ორჯონიკიძე ეკუთვნოდა ლენინელთა — კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა ხელმძღვანელ ბირთვს, რომელიც მჭიდროდ შეკავშირდა ლენინიზმის ღროშის ქვეშ. პარტიის გენერალური ხაზის განხორციელების საკითხებში, პრინციპულ საკითხებში გ. კ. ორჯონიკიძემ არ იცოდა და არ ცნობდა კომპრომისს.

1926 წლისათვის სსრ კავშირის მეურნეობის აღდგენა ძირითადად დამთავრდა. კომუნისტური პარტიის XIV ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში მკაფიოდ გააშუქა შემდგომი მშენებლობის გზები. სოციალიზმის დამყარება ბურჟუაზიული ელემენტების გაფანტვით წინააღმდეგობის წაწყდა თვით საბჭოთა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. სწორედ ამ პერიოდში გ. კ. ორჯონიკიძე დაეწინაურეს სერგოს პარტიული და საერთო სახალხო საქმისადმი ბრძოლის უაღრესად პასუხსაგებ უბანზე — პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ცენტრალური საკონტროლო კომისიამ და პირადად გ. კ. ორჯონიკიძემ დიდი მუშაობა გასწიეს პარტიის ერთობის განმტკიცებისა და ოპოზიციური ბლოკის ლიდერთა გაგლენისაგან იმ კომუნისტების განთავისუფლებისათვის, რომლებიც მოტყუებული იყვნენ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის აქტიური ხელმძღვანელობით ოპოზიციის ნაგავი სახე და ნამოვალი მიზნები სწრაფად დაბოლოდან მხილებული იყო.

მტკიცე და შეუდრეკელია ლენინელმა, მგზნებარე ენთუზიასტმა. გამოჩენილმა ორგანიზატორმა, გულსანმოერმა და უურადღებიანმა ამხანაგმა, — თქვა შემდეგ ე. თ. კოტეგნიკოვმა. — გ. კ. ორჯონიკიძემ დიდი პირადი წვლილი შეიტანა ლენინელებისათვის ბრძოლის საერთო სიმაგრეში. მადლობარ თაობათა მეხსიერებაში იგი დარჩება კომუნისტისათვის მამაც ოდ შეუდრეკელ მებრძოლად, რომელიც შეურყეველი იყო ყველას მიმართ, ვინც ცდილობდა აეცილინა პარტია მისი ერთიანობისა და ერთიანობისათვის.

ბოლშევიკური ენერგიის, ენერგიულ ბრძოლა ლენინის ანდერძის შესრულებაში ორგანიზაციული ერთიანობისა, ლენინური ცენტრალიზმის ბრძოლა ლენინელ ბირთვს, ბრძოლა ოპოზიციის ფრაქციონერ ბანდებთან

პარტიული ცხოვრება

პირველი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე •

გავაუმჯობესოთ სპეციალისტთა კადრების მომზადება

ჯრუანისი! ისტორიამ დიდებით შემოგვინახა ეს სახელი. ჯრუანისის ველზე ხომ უმამაცესთა გმირობა გამოჩინეს ქართველი ხალხის წინაპრებმა! მათ სამშობლოს დასაცავად აღადგა ოთოვანებიდნენ დიდი პოეტის — რუსთაველის გმირები. ჯრუანისის ბრძოლის გმირული ფურცლები დაადებენ გარდახულ საუკუნეებში ქართველი ერის დიდებაზე. ამ ერმა დღეს განახლებულ, გაცოცხლებულ ჯრუანისის ველზე იზეიმა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავის იუბილე.

ახლა აქ, ამ ველზე, აღმართულია საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის მრავალსართულიანი კორპუსები. იქვე ექსპერიმენტული ქარხანა. ახლით შეეტყობა ჯარუანელი საქმის ემსახურება პროფესორ-მასწავლებელთა დიდი არმია.

— საინგარიშო პერიოდში — აღნიშნა მომხსენებელმა, — ინსტიტუტის დასწრებულ განყოფილებაზე ითვლებოდა 569 სტუდენტი, დაუსწრებელზე — 1.700, როგორც ვხედავთ, სხვათა დასწრებული და დაუსწრებელი სტუდენტების რაოდენობას შორის საგრძნობია. ეს საკითხი შეიჭვლას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ ინსტიტუტს შესაძლებლობა აქვს მეტი რაოდენობით მოამზადოს სტაციონალური წესით მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ცნობილია, რომ რესპუბლიკა განიცდის ხორცისა და რძის ტექნოლოგიის სპეციალისტთა ნაკლებობას. მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე გადაუწყვეტელია ასეთი კადრების მომზადების საკითხი. ამ მხრივ ინსტიტუტს მეტი მხარდაჭერა ესაჭიროება.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების მიზნით თეორიული და ხაზარმოო სწავლების ურთიერთშეთანხმების ხორციელდება კრუანისის ექსპერიმენტული მეურნეობის ბაზაზე, აგრეთვე რესპუბლიკის ცალკეულ ობიექტებზე. მაგრამ კრებაზე გულისტკივილით აღინიშნა ისიც, რომ ინსტიტუტის ახალ ბაზაზე გადმოსვლის მთელი პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, დასრულებული არ არის ინსტიტუტის სასწავლო კორპუსების მშენებლობა, კაბინეტ-ლაბორატორიების კეთილმოწყობა, არ არის დაწყებული სკვლევი სექტორისათვის გამოზნული კორპუსების მშენებლობა, დღემდე არა აქვთ საკეტი და სასპორტო დარბაზები. შარშან ძალიან ცუდად იყო გათბობისა და წყლით უზრუნველყოფის საქმე. ამის გამო ადგილი ჰქონდა ლექციების საგრძნობ გაცდენებს, შედარებით დაბალი იყო სწავლის ხარისხი.

ახლა მდგომარეობა გამოსწორების გზაზეა. მაგრამ შემოდგომის ორი თვე გადის და გაზგაყვანლობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. დღემდე არ არის მოგვარებული წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების, კავშირგაბმულობისა და ტელეფონით უზრუნველყოფის, სასწავლო ლაბორატორიების, ჯანმრთელობის პუნქტების მოწყობისა და მუშაობის, ტრანსპორტის მომსვლის გადაუდებელი, აუცილებელი საკითხები. ამიტომ იყო, რომ კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოითხოვეს საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებისაგან მიღონ გადამჭრელი ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის. კომუნისტების სამართლიანმა კრიტიკამ ამ სამინისტროებმა სათანადო ანგარიში უნდა გაუწიონ.

კრებაზე ითქვა, რომ პარტიული კომიტეტი პერიოდულად ამოწმებდა რედაქტორატის, დეკანატების მუშაობას, სტუდენტთა ლექციო-პრაქტიკუმებზე და სემინარულ მეცადინეობებზე დასწრების, მიაღწიოთ ამ ღონისძიებებმა. ასეთ ფაქტებს ადგილი ადგილ-ადგილ ჰქონია. ეს ფაქტები ეჭვქვეშ აყენებს ამ ორგანოების ეფექტურობას. ეს ფაქტები ადასტურებენ, ასევე, ზოგიერთ ადგილებში, ინსტიტუტის ადმინისტრაციის, ფაკულტეტების პარტბიუროების, მაგრამ ეს ფაქტები ადასტურებენ, ასევე, ზოგიერთ ადგილებში, ინსტიტუტის ადმინისტრაციის, ფაკულტეტების პარტბიუროების

საერთაშორისო ცხოვრება

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

27 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულს ჯან დე-იუნს გადაეცა შემდეგი შინაარსის ნოტა.

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი მთავრობის დავალებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მოსკოვში უცხადებს შემდეგს:

რამდენიმე დღეა თავაშვებულ ჩინელ მოქალაქეთა ორგანიზებული ჯგუფები განაგრძობენ პროვოკაციულ შეურაცხყოფელ მოქმედებას საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩოს მიმართ.

23 ოქტომბრიდან ბლოკირებულია სსრ კავშირის საელჩოს შესასვლელი. საელჩოს ჭიშკართან თავმოყრილ ბრბოში გაისმის მუქარა და შეურაცხყოფელი სიტყვები საბჭოთა დიპლომატების, აგრეთვე უცხოელი სტუმრების მიმართ, რომლებიც სსრ კავშირის საელჩოში მიდიან. ამასთან უწესოებათა მონაწილენი არ ერიდებიან ხულიგნურ გამოხდომებს, უცენზურო ლანძღვა-გინებას, უხამს ეფსტებსა და პოზებს, იფურთხებიან და სხვა ამგვარ რამეს სჩადიან. საქმე იქამდე მივიდა, რომ 23 ოქტომბერს ზოგიერთმა უცხოელმა დიპლომატმა ვერ შეძლო დიპლომატიურნმრთიანი მანქანით წასულიყო საბჭოთა საელჩოდან თავის რეზიდენციაში და იძულებული გახდა ბლოკირებული ჭიშკიდან დაბრუნებულიყო საბჭოთა კავშირის საელჩოს ტერიტორიაზე.

ეს თავაშვებული მოქმედება საბჭოთა საელჩოსთან, რაც აძნელებს მის ნორმალურ საქმიანობას, ხდება ჩინელ პოლიციელთა თვალწინ, რომლებიც არა თუ არ აღკვეთენ ხულიგნურ გამოხდომებს, არამედ თავიანთი ქცევით ხელს უწყობენ ასეთ მოქმედებას.

საბჭოთა საელჩოსთან ახალი პროვოკაციების მოწყობა სხვა არა არის რა, თუ არ მორიგი წინასწარ განზრახული ნაბიჯი ჩინეთის მხარისა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის სახელმწიფოთა ურთიერთობის შემდგომი გამწვავებისათვის.

ამ ბოლო დროს ეს უკვე პირველი შემთხვევა როდია, რომ სსრ კავშირის საელჩოსთან ეწყობა მასობრივი უწესობება, რომელსაც აშკარა ანტისაბჭოთა ხასიათი აქვს და ჩინეთის ოფიციალურ წარმომადგენელთა წაყრუებით და ხელშეწყობით მიმდინარეობს, რასაც, კერძოდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ყურადღება მიექცა 1966 წლის 26 აგვისტოს ნოტაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოსადმი.

არ შეიძლება არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების, საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობათა იმუნიტეტის უაღრესად უხეში დარღვევა ერთგვარ პრაქტიკად იქცევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

მტკიცე პროტესტს აცხადებს რა ჩინეთის მხარის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ იზრუნოს დაუყოვნებლივი და ეფექტიანი ღონისძიებანი საბჭოთა საელჩოსთან თავაშვებული მოქმედების შესაწყვეტად და უზრუნველყოფ ნორმალური პირობები მისი საქმიანობისათვის“.

კოლანდია. დოქტორი ბოუმანი მიემართება პარლამენტის შენობისაკენ და თან მიაქვს ვიეტნამში წარმოებული ომის წინააღმდეგ საპროტესტო პეტიცია, რომელსაც ხელს აწერს ზეელანდიის პროვინციის 30.000 მცხოვრები. მას თან მიჰყვება ამსტერდამის მცხოვრები ბერგი; ქოლგაზე გაკრული ფურცლებს სათაურად აქვს სიტყვები: „ასე მოქმედებს ნაპალმი, მისტერო პრეზიდენტო“.

ფოტო ანპა-საკადესისა.

ესპანეთის პოპოლარი შემოდგომა

შემოდგომაზე დამთავრდა შეებულებათა ხანა, იკლო ტურისტების მოზღვავებამ, და ესპანეთში „ქვეკვ ანბობოკრდა პოლიტიკური ვნებათაღელვა. შემოდგომის პირველმა სიახლემ ესპანელ მუშებს მთლად ზამთრის სუხი მოუტანა. მთავრობის ამასწინანდელმა დეკრეტმა, ბოლოს, „გადაჭრა“ პრობლემა, რომელზეც მრავალი თვის განმავლობაში მსჯელობდნენ: მინიმალური ხელფასის პრობლემა. მუშათა კომისიები მოითხოვდნენ მის დაწესებას დღეში 250 პესეტის ოდენობით. ხოლო პროფკავშირულმა ზედფენამ, რომელიც ფალანგისტური მოძრაობის გენერალური მდივნის სოლისის უმუალო ხელმძღვანელობით მოქმედებს, იგი 130 პესეტამდე შეამცირა. მაგრამ დადგა მინისტრთა საბჭოს ჯერი, და ხანმოკლე განხილვის შემდეგ გადაწყდა მინიმალური ხელფასი დაეწესებინათ 84 პესეტის ოდენობით. ეოტაა ეს თუ ბევრი? ძალიან ცოტაა. იმასთან შედარებით, რასაც მუშათა კომისიები მოითხოვენ, და ფალანგისტური პროფკავშირების რეკომენდაციებთან შედარებითაც კი. მაგრამ ბევრია ამჟამად არსებულ მინიმალურ ხელფასთან — დღეში 60 პესეტასთან შედარებით. ამიტომ პრესის ყველაზე მეტად გაწერთნილი ნაწილი ხაზგასმით აღნიშნავდა, მთავრობამ მინიმალური ხელფასი 40 პროცენტით გადიდაო. დიახ, გადიდება მნიშვნელოვანია, მაგრამ... ყალბია. 1963 წლიდან ცხოვრების ღირებულება ესპანეთში ხომ 42 პროცენტით გადიდდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელფასის „გადიდება“ ამ გაძვირებასაც კი ვერ დაფარავს.

„ამბობენ, თვით სოლისიც კი, „ვერტიკალური პროფკავშირების კაუდილიო“, ხელფასის ასეთი „გადიდებით“ ძალიან უკმაყოფილი იყოო. და საამისოდ მას ყველა საფუძველი აქვს. ამ დღეებში დაიწყო პროფკავშირთა არჩევნები, რაც ქომაგალი წლის ივნვარში დამთავრდება. და, რა თქმა უნდა, მუშების ასეთი უკმაყოფილებასან არჩევნები კარგს არაა უქადის ოფიციალურ კანდიდატებს. ახლა ხომ მუშათა კომისიებმა მშრომელთა შეუფერებრი ბრძოლის შემდეგ იმის უფლება მოიპოვეს, რომ საკუთარი კანდიდატები წამოაყენონ მეკავშირეთა და საწარმოებში რწმენებულთა პოსტებზე.

ბოიკოტის გამოცხადების ის ლოზუნგის საწინააღმდეგოდ, რასაც პრაპგანდას უწევს ჯგუფი ძველი ანარქო-სინდიკალისტი ლიდერებისა, რომლებმაც პირი შეკრეს ფრანკისტული სინდიკალიზმის ხელმძღვანელობასთან, მშრომელნი — კომუნისტები, კათოლიკეები, ბევრი სოციალისტი და უპარტიო — მხარს უჭერენ არჩევნებში მონაწილეობას, რადგან დღეს შესაძლებელია წამოაყენონ და მხარი დაუჭიროონ მასების მიერ დასახელებულ კანდიდატებს. პირველი წინასწარი მონაცემები მოწმობს, რომ ბარსელონის, ბილბაოს და სხვა სამრეწველო ცენტრების სხვადასხვა საწარმოში მუშათა კომისიების კანდიდატები იმარჯვებენ.

ასეთივე სურათია არა მარტო საწარმოებში, მაგალითად, უმაღლესი განათლების მინისტრმა საჭიროდ არ ჩათვალა მოიწყო არჩევნები ესპანეთის საუნივერსიტეტო პროფკავშირის ნორმალიზებით მოსტზე. და აი რატომ. ახალგაზრდობის ბრძოლამ უკანასკნელ წლებში ამ პროფკავშირისაგან ნაწგრეებიდა დატოვა. სამაგიეროდ წარსულ გაზაფხულზე სარიას მონასტერში 500 ბარსელონელმა სტუდენტმა თავისი პირველი დემოკრატიული პროფკავშირი შექმნა. მართალია, მთავრობამ არა ცნო ეს პროფკავშირი, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობამ ცნო. უმაღლესი განათლების მინისტრს აზრად მოუვიდა შეექმნა სტუდენტთა ეგრეთწოდებული პროფესიული ასოციაციები. მაგრამ სტუდენტთა რამდენიმე თავისუფალმა ასამბლეამ, მათ შორის ბარსელონისამ, გადაჭრით უარყო ეს ფიდი. ისინი მოითხოვენ, რომ უნივერსიტეტის საქმეებს თვით მოსწავლეები და მასწავლებლები წყვეტდნენ გარედან ჩაურევლად. ამასთან ისინი სულაც არ ამბობენ უარს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე. ასეთია ესპანეთის ტიტული პროფკავშირის დაფუძნებელ აქტში ნათქვამია: „უნივერსიტეტი ითანამშრომლებს ყველასთან, ვინც ქვეყნის ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის ებრძვის“.

დემოკრატიზაცია! ეს პრობლემა, რომელიც აღელვებს ესპანეთის მთელ საზოგადოებას. რა თქმა უნდა, ყველას ერთნაირად როდი ესმის დემოკრატიზაცია. ერთადერთი რამ, რაშიაც შეთანხმებულია ოპოზიციონერობა, — ეს არის „დეფრანკონიზაცია“. თუმცა ამასაც ყველა ერთნაირად როდი აღიქვამს. თვითმმართველელ წრეებში არიან, მაგალითად, „მოლიბერალნი“, ინფორმაციისა და ტურიზმის მინისტრის ფრაგა ირიბარნეს მეთაურობით. ფრაგას მიაჩნია, რომ თვლები უნდა შეცვალო, თუ გინდა იმავე მანქანით განაგრძო გზა. მინისტრი ოპოზიციის გარკვეულ ძალებს ელაპარაკება და იმაც�aც კი მიისწრაფვის, რომ მთავრობისადმი ხელმძღვანელობაში თვით ფრანკო შეცვალოს. ახლანდელ მმართველ ალიანსი ფრაგა მელია. სამაგიეროდ შინაგან საქმეთა მინისტრი ალონსო ვეგა ტურია. იგი ეკუთვნის ეგრეთწოდებულ „განმგრძობლებს“, რომლებსაც უნდათ, რომ მანქანამ „იმავე თვლებით“ იაროს. „მოლიბერალიზმსა“ და ულტრებს შორის დგანან „ტრადიციონალისტები“, რომლებსაც სურთ, რომ ყველა ცვლილება არსებული წესობლების ფარგლებში ხდებოდეს. ფრანკო ამათ ყველას უთვალთვალებს და არავის არ ენდობა.

კაუდილიო ფრანკო ძველ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან იცის, რომ მისი ყოახლოესი თანამებრძოლები მის სიკვდილს ელიან. თანაც მთელი ესპანეთი პრესა ყოველდღე განიხილავს პრობლემას — რა მოხდება, ფრანკო რომ გაქრება. გენერალისიმუსს ვინ შეცვლისო. და სულ ცოტა ხნის წინათ ფრანკომ ეპასუხა, „მე თვითონ შეშეცვლი ჩემ თავსო“. შემთხვევითი როდია, რომ მან გაურკვეველი გზითით გადადო რეფერენდუმის გამართვა. ამ რეფერენდუმს, რომელიც თვით კაუდილიომ მოიფიქრა, უნდა დაეყენებინა კითხვა, საჭიროა თუ არა გადაყოს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის პოსტებიო (ფრანკოს ორივე ეს თანამდებობა უჭირავს). ფიქრობენ, რომ მთავრობის წევრები ირჩევენ პროექტი ძირითადი კანონისა, რომლითაც რეგლამენტირებულია იმის პირობები, თუ ვინ უნდა შეცვალოს ფრანკო. მაგრამ, ეტყობა თვითონ კაუდილიო ამჯობინებს, რომ ყველაფერი ასე დარჩეს, როგორც არის.

მემარცხენე ოპოზიცია, კომუნისტებიდან ქრისტიან დემოკრატებამდე, იმ აზრისაა, რომ ზემოდან განხორციელებული ყოველი რეფორმა კიბინასის მხლოდ გადადება ეკნებოდა და არა გადაჭრა. რეფერენდუმის გაიქნების ან გადადება სწორედ პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას ნიშნავს ეკონომიკურ მასებთან დაალოგისათვის, რომლებიც მის გადაჭრას ფრანკოს ფიზიკურ სიკვდილთან კი არ აკავშირებენ, არამედ ყოველივე იმის პოლიტიკურ დაღუპვასთან, რასაც ფრანკიზმი წარმოადგენს. არ არის ფრანკიზმი უფრანკოოდ, და არ არის ფრანკო უფრანკიზმოდ. მხოლოდ თვით ხალხს ნამდვილ, თავისუფალ არჩევნებში შეუძლია გადაწყვიტოს კონსტიტუციური საკითხი — მონარქია იყოს თუ რესპუბლიკა.

ამიტომ ესპანეთის კომუნისტურმა პარტიამ თავისი გენერალური მდივნის სანტიაგო კარილოს პირით განაცხადა, რომ ოპოზიციის სხვადასხვა ძალებს შორის ურთიერთგაგების მიღწევა იმის საწინდარია, რომ ხალხის ნება ყველა სიკეთს პატივს.

წლევანდელი შემოდგომა ესპანეთში მიმდინარეობს მუშათა გამოსვლების, სტუდენტთა მოქმედებისა და ინტელიგენციის პროტესტის გაძლიერების ნიშნით. ამ შემოდგომაზე ჩვენი ხალხი განაგრძობს ბრძოლას თავისი საშუალოს გზა ფხლისათვის.

ეუსებიო სიმორა,
ესპანელი პუბლიცისტი.

კენედი ამერიკულ ავიამზიდზე

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი (საკადესი). ხანძრის შედეგად, რომელიც გუშინ ტონკინის ყურეში ამერიკის შეერთებული შტატების 7-ე ფლოტის ავიამზიდ „ორსიკანზე“ გაჩნდა, დაიღუპა 43 კაცი, 16 კაცი სერიოზულად დაშავდა. ავიამზიდის ეკიპაჟის ბევრმა წევრმა ძნიმე ტრავმა მიიღო. ხანძარი მოეფინა ამ 42 ათასი წყალწყვის გემის ხუთ გემბანს, ამას იუწყება იუსაიტად პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს საიგონელი კორესპონდენტი.

ვიშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, აღნიშნავს კორესპონდენტი, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო აპირებს „ორსიკანი“ შეცვალოს რომელიმე სხვა ავიამზიდით, რათა „ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ საჰაერო ომი არ შეფერხდეს“.

ვინ მოკლა კენედი?

ვაშინგტონი, 26 ოქტომბერი (საკადესი). პრეზიდენტი ჯონ კენედი მოკლეს ორგანიზებული შეთქმულების შედეგად. ეს განაცხადეს ამერიკელმა ეფრნალისტებმა პ. ჯონსმა და დ. უელშმა. პრეს-კონფერენციაზე, რომელიც დღეს აქ გაიმართა, ისინი უარყოფენ უორენის კომისიის იმ დასკვნას, რომ პრეზიდენტ კენედის მკვლელი ლი ოსვალდი მოქმედებდა „მარტო“. მათი აზრით, პოლიციელი ტიპიი, ლი ოსვალდი და კიდევ სულ ცოტა ათი დაღუპული პირი გახდნენ „სხვა შეთქმულების“ ნსხვერპლნი, რომლის მიზანი იყო წაშალა „საუკუნის მკვლელობის“ კვალი.

ჯონსმა და უელშმა მოიყვანეს იმ პირთა სია, რომლებმაც განაცხადეს, რომ მზად არიან მისცენ მოწმის ჩვენება, რომელიც არ ეთანხმება უორენის კომისიის ვერსიას, და დაიღუპნენ „ფრიად იდუმალ ვითარებაში“.

მათ შორის არიან რეპორტიორები ჯიმ კეტე და ბილ პანტერი, რომლებმაც უამრავი ფაქტიური მასალა შეაგროვეს თავიანთი წიგნისათვის „დალასის ტრაგედიის“ შესახებ, და ჯეკ რუბის პირადი ადვოკატი ჰოვარდი. სამივენი, განაცხადეს ჯონსმა და უელშმა, ჯეკ რუბის მიერ ოსვალდის მოკვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ შეიკრიბნენ ამ უკანასკნელის ბინაში და მისი მეგობარი ჯ. სენატორისაგან რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი შეიტყვეს. შემდეგ კი სამივენი დაიღუპნენ, ამასთან კეტეს ბინიდან გაქრა ყველა მასალა მისი მომავალი წიგნისათვის.

ჯონსმა და უელშმა ხაზი გაუსვეს, რომ საეჭვოა უორენის კომისიის მოხსენების ობიექტურობა და მოითხოვეს, რომ მოეწყოს პრეზიდენტ კენედის მკვლელობის ახალი გულდასმითი გამოძიება.

ბოლოდროინდელი ინციდენტი

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა მოულოდნელად შეწყვიტა ტურე ფილიპინებში და დღეს სამხრეთ ვიეტნამში გაეშვა. იგი ეწვია ამერიკის საბჭოდრო ბაზას კამრანში, იქ დაპყო საათნახევარს და მანილაში დაბრუნდა. ჯონსონმა დაათვალიერა ნავსადგური და ამ ბაზის სამშენებლო ობიექტები, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ბაზაა სამხრეთ ვიეტნამში. იქიდან ამერიკის ავიაცია მეკობრულად ესხმის თავს სამხრეთვიეტნამელ პატრიოტებს. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო საიგონიდან იუწყება, კამრანში ჯონსონს შეხვდნენ სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული რეჟიმის ლიდერები ნგუენ ვან თხიეუ და ნგუენ კაო კი. იქვე ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი �. ეს ბოლოდროინდელი ინციდენტი, ეტყობა, ეკუთვნის ამ ბაზის ბრბოს ბრალ. ეს ბრბო ბოლოს ბოლოს ... ...

შეამოწმეთ, ვინ რა მოიგო

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1966 წლის მეათე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟისა. მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1966 წლის 25 ოქტომბერს ქ. მცხეთაში

ტირაჟში გათამაშდა 258 ნივთმოგება და 154742 ფულადი მოგება 279.000 მანეთის თანხისა. მოგება ხვდა 1966 წლის მეათე გამოშვების ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
27934	111 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
27940	173 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
27946	259 *)	25 მანეთი	—
27949	300 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
27964	399 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
27965	055 *)	რადიოლა	143 — 75
27976	372 *)	25 მანეთი	—
28011	364 *)	რადიოლა	143 — 75
28020	376 *)	მაცივარი	200 — 00
28033	141 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28044	298 *)	რადიოლა	143 — 75
28050	225 *)	მაცივარი	200 — 00
28055	065 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
28061	310 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28062	493 *)	პიანინო	526 — 50
28066	261 *)	რადიოლა	143 — 75
28069	425 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
28075	115 *)	რადიოლა	143 — 75
28076	489 *)	მაცივარი	200 — 00
28077	306 *)	მაცივარი	200 — 00
28089	284 *)	მაცივარი	200 — 00
28094	050 *)	200 მანეთი	—
28099	431 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
28104	368 *)	პიანინო	526 — 50
28117	228 *)	რადიოლა	143 — 75
28128	354 *)	პიანინო	526 — 50
28138	032 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28150	227 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28155	049 *)	100 მანეთი	—
28161	060 *)	პიანინო	526 — 50
28170	431 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28175	292 *)	პიანინო	526 — 50
28187	123 *)	50 მანეთი	—
28194	500 *)	25 მანეთი	—
28203	259 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28240	162 *)	პიანინო	526 — 50
28242	387 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28265	239 *)	25 მანეთი	—
28302	464 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
28306	424 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28311	134 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
28322	311 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
28351	174 *)	25 მანეთი	—
28354	496 *)	500 მანეთი	—
28358	482 *)	მაცივარი	200 — 00
28362	028 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28368	174 *)	1000 მანეთი	—
28370	006 *)	25 მანეთი	—
28374	476 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28375	214 *)	რადიოლა	143 — 75
28376	398 *)	მაცივარი	200 — 00
28379	388 *)	500 მანეთი	—
28390	463 *)	200 მანეთი	—
28402	315 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28406	008 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28407	350 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28419	328 *)	რადიოლა	143 — 75
28446	335 *)	მაცივარი	200 — 00
28447	334 *)	რადიოლა	143 — 75
28476	139 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	4511 — 25
28478	440 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28501	294 *)	50 მანეთი	—
28528	369 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28533	127 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28538	313 *)	რადიოლა	143 — 75
28542	287 *)	25 მანეთი	—
28545	448 *)	მაცივარი	200 — 00
28560	451 *)	პიანინო	526 — 50
28603	251 *)	200 მანეთი	—
28613	150 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28628	373 *)	მაცივარი	200 — 00
28638	146 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28651	077 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
28658	421 *)	რადიოლა	143 — 75
28659	335 *)	მაცივარი	200 — 00
28666	336 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28670	189 *)	მაცივარი	200 — 00
28678	251 *)	პიანინო	526 — 50
28692	154 *)	რადიოლა	143 — 75
28700	003 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28705	075 *)	25 მანეთი	—
28707	249 *)	25 მანეთი	—
28723	070 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
28736	495 *)	რადიოლა	143 — 75
28741	443 *)	25 მანეთი	—
28757	325 *)	რადიოლა	143 — 75
28759	320 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28760	329 *)	პიანინო	526 — 50
28768	263 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28769	284 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
28775	072 *)	რადიოლა	143 — 75
28790	138 *)	პიანინო	526 — 50
28804	148 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28838	237 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28844	048 *)	100 მანეთი	—
28863	040 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28865	383 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28870	074 *)	50 მანეთი	—
28874	081 *)	რადიოლა	143 — 75
28875	029 *)	პიანინო	526 — 50
28892	104 *)	მაცივარი	200 — 00
28896	337 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28904	360 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28919	397 *)	რადიოლა	143 — 75
28935	168 *)	რადიოლა	143 — 75
28936	381 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
28937	306 *)	ავტომანქანა „ვოლგა“	5602 — 00
28942	095 *)	პიანინო	526 — 50
28943	326 *)	მაცივარი	200 — 00
28956	068 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28957	243 *)	პიანინო	526 — 50
28973	428 *)	50 მანეთი	—
28978	485 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
28982	312 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	4511 — 25
28999	454 *)	პიანინო	526 — 50
29005	406 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
29028	420 *)	რადიოლა	143 — 75
29029	077 *)	100 მანეთი	—
29034	103 *)	მაცივარი	200 — 00
29035	252 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
29044	110 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29045	043 *)	პიანინო	526 — 50
29062	1—500	10 მანეთი	—
29077	483 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
29094	137 *)	რადიოლა	143 — 75
29099	142 *)	რადიოლა	143 — 75
29117	246 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
29129	363 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29132	120 *)	25 მანეთი	—
29135	058 *)	პიანინო	526 — 50
29143	364 *)	რადიოლა	143 — 75
29146	205 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
29171	096 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29187	157 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
29191	111 *)	მაცივარი	200 — 00
29202	462 *)	რადიოლა	143 — 75
29211	399 *)	მაცივარი	200 — 00
29219	044 *)	მაცივარი	200 — 00
29231	184 *)	რადიოლა	143 — 75
29235	346 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29242	205 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
29244	066 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29248	419 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
29261	018 *)	მაცივარი	200 — 00
29283	411 *)	მაცივარი	200 — 00
29284	267 *)	25 მანეთი	—
29294	1—500	15 მანეთი	—
29302	499 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
29305	268 *)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	2220 — 00
29317	112 *)	რადიოლა	143 — 75
29331	314 *)	მაცივარი	200 — 00
29337	073 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
29370	309 *)	რადიოლა	143 — 75
29375	023 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29377	339 *)	200 მანეთი	—
29404	133 *)	25 მანეთი	—
29416	104 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29433	222 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
29453	374 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29464	494 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
29473	236 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29474	068 *)	პიანინო	526 — 50
29482	266 *)	50 მანეთი	—
29485	073 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურად ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“	150 — 00
29491	199 *)	300 მანეთი	—
29505	414 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
29507	106 *)	პიანინო	526 — 50
29509	095 *)	მაცივარი	200 — 00
29510	025 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29511	012 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	4511 — 25
29530	238 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
29538	232 *)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	2220 — 00
29541	347 *)	25 მანეთი	—
29551	393 *)	რადიოლა	143 — 75
29554	194 *)	მაცივარი	200 — 00
29568	437 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
29584	406 *)	500 მანეთი	—
29591	447 *)	პიანინო	526 — 50
29592	225 *)	რადიოლა	143 — 75
29605	096 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
29624	296 *)	მაცივარი	200 — 00
29627	246 *)	მაცივარი	200 — 00
29644	309 *)	მაცივარი	200 — 00
29645	287 *)	100 მანეთი	—
29651	429 *)	რადიოლა	143 — 75
29674	200 *)	მაცივარი	200 — 00
29675	1—500	10 მანეთი	—
29689	335 *)	მაცივარი	200 — 00
29707	127 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29716	391 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29728	418 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29736	106 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29746	256 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	4511 — 25
29767	393 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
29811	280 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურად ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“	150 — 00
29828	393 *)	პიანინო	526 — 50
29829	230 *)	მაცივარი	200 — 00
29836	097 *)	25 მანეთი	—
29849	040 *)	50 მანეთი	—
29852	428 *)	რადიოლა	143 — 75
29855	111 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
29869	440 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
29892	114 *)	300 მანეთი	—
29896	490 *)	რადიოლა	143 — 75
29900	444 *)	რადიოლა	143 — 75
29901	144 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
29902	022 *)	300 მანეთი	—
29915	444 *)	რადიოლა	143 — 75
29918	102 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
29929	120 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	4511 — 25
29935	023 *)	რადიოლა	143 — 75
29963	251 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
29964	312 *)	რადიოლა	143 — 75
29967	190 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
29975	183 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
29986	333 *)	პიანინო	526 — 50
29991	401 *)	25 მანეთი	—
29993	242 *)	მაცივარი	200 — 00
30010	226 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30017	276 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30042	315 *)	ავტომანქანა „ვოლგა“	5602 — 00
30051	145 *)	მაცივარი	200 — 00
30054	496 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30076	234 *)	50 მანეთი	—
30084	369 *)	რადიოლა	143 — 75
30106	047 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30126	386 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30147	361 *)	50 მანეთი	—
30162	320 *)	რადიოლა	143 — 75
30180	248 *)	25 მანეთი	—
30182	389 *)	პიანინო	526 — 50
30192	075 *)	რადიოლა	143 — 75
30193	217 *)	200 მანეთი	—
30195	387 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30200	006 *)	რადიოლა	143 — 75
30216	222 *)	მაცივარი	200 — 00
30226	298 *)	100 მანეთი	—
30235	007 *)	რადიოლა	143 — 75
30244	445 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30249	358 *)	მაცივარი	200 — 00
30251	301 *)	პიანინო	526 — 50
30263	268 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30265	195 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	4511 — 25
30270	099 *)	მაცივარი	200 — 00
30293	1—500	15 მანეთი	—
30303	472 *)	პიანინო	526 — 50
30307	008 *)	პიანინო	526 — 50
30315	306 *)	25 მანეთი	—
30323	185 *)	300 მანეთი	—
30333	457 *)	პიანინო	526 — 50
30339	429 *)	პიანინო	526 — 50
30346	021 *)	მაცივარი	200 — 00
30350	071 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
30352	199 *)	პიანინო	526 — 50
30387	337 *)	რადიოლა	143 — 75
30400	008 *)	რადიოლა	143 — 75
30413	274 *)	25 მანეთი	—
30424	085 *)	პიანინო	526 — 50
30429	079 *)	მაცივარი	200 — 00
30442	368 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
30450	058 *)	რადიოლა	143 — 75
30457	333 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30465	191 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	4511 — 25
30471	058 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30472	221 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურად ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“	150 — 00
30498	101 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30502	176 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
30512	216 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
30513	266 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურად ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“	150 — 00
30521	429 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30537	028 *)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	2220 — 00
30546	350 *)	პიანინო	526 — 50
30552	111 *)	რადიოლა	143 — 75
30570	154 *)	მაცივარი	200 — 00
30571	382 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30614	345 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
30617	246 *)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	4511 — 25
30631	270 *)	მაცივარი	200 — 00
30648	271 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30669	416 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
30697	294 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
30698	148 *)	რადიოლა	143 — 75
30700	245 *)	500 მანეთი	—
30702	283 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30741	259 *)	პიანინო	526 — 50
30745	035 *)	რადიოლა	143 — 75
30747	143 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30749	456 *)	პიანინო	526 — 50
30754	007 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
30765	111 *)	რადიოლა	143 — 75
30767	328 *)	რადიოლა	143 — 75
30782	075 *)	25 მანეთი	—
30799	003 *)	რადიოლა	143 — 75
30836	452 *)	პიანინო	526 — 50
30860	034 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
30864	158 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
30879	394 *)	პიანინო	526 — 50
30886	380 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30889	024 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
30897	263 *)	ტელევიზორი „რეკორდი“	210 — 00
30902	009 *)	მაცივარი	200 — 00
30937	018 *)	რადიოლა	143 — 75
30938	390 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
30949	434 *)	პიანინო	526 — 50
30952	105 *)	ფოტოაპარატი „ზორკი“	35 — 00
30965	482 *)	მაცივარი	200 — 00
30973	288 *)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	56 — 20
30987	401 *)	მამაკაცის მაჯის საათი მოოქროვილი კორპუსით	30 — 00
30993	378 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაურად ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“	150 — 00
30994	252 *)	300 მანეთი	—

შენიშვნა*) ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომრის ხვდა 1 მანეთი მოგება თვითეულს.

თუ სვეტში ბილეთის ნომერი აღნიშნულია 1—500, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის მოცემული სერიის ბილეთების ხუთასსავე ნომერს.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთის მოგება ხვდა, თავისი ხელოვნისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთების ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მომდევნო ხუთასამებრ 50 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულების მოგებული ნივთის ნაცვლად, აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს სსრ ყველა შემნახველი ბანკი. 50 მანეთის ზემოთ მოგებათა თანხებს გასცემენ ცენტრალური შემნახველი ხალაროები და პირველი თანრიგის შემნახველი ხალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელი აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიებიდან.

ლატარიის მოგებაბეჭდილი ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში. მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველი ხალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებისთვის, რომლებიც მაღაზიების მეშვეობით უნდა გაგზავნის, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ ხალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ ხალაროებს. ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელს და ზუსტ მისამართს. დიდგაბარიტიან ნივთებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის ის უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც ხატვრითი ნიშნიერის ოპერაციებს აწარმოებს.

მიკიდებულის მიხედვით საჭიროა, გარდა ამისა, ნაჩვენები იყოს ლატარიის ბილეთის მფლობელის საცხოვრებელ ადგილში ელექტროსელის ძაბვა, ე. ი. 127 ვოლტი თუ 220 ვოლტი.

3. მოგებული ნივთების გაცემას მაღაზიები აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ ხალაროში.

4. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეიძლება წარმოდგენილ იქნას გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1967 წლის 20 თებერვამდე ჩათვლით. ამ ვადის გახვლის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავენ და გასანაღდებლად აღარ მიიღებიან. ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით წარმოებს ფულადი მოგებისა და მოგებული ნივთების გაცემა.

შენიშვნა: ხმა მოკავშირე რეპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიების ბილეთების მფლობელნი შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეიმოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება და ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის კალინინის სახელობის. აგრეთვე ქ. ქ. სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოს და გაგრის ცენტრალურ შემნახველ ხალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი ხალაროები აგრეთვე მიიღებენ ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა, მოგებული ნივთის გამოსათხოვად.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება რეპუბლიკის ყველა დიდ ქალაქის ცენტრალურ შემნახველ ხალაროში.

კომისიის თავმჯდომარე —
მშრომელთა დეპუტატების მკვლეთის რაისაბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლაშხი

თავმჯდომარის მოადგილე —
საქართველოს სსრ თანანსთა სამინისტროს
წარმომადგენელი ე. ბეჟუაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი —
საქართველოს სსრ სახშრომმემესალაროების და სახკრედიტის
სამმართველოს უფროსი ეკონომისტი მ. ჯანგირაძე

ამბები • ცნობები

ახალი გაზეთი „ფერომდნობელი“

ზესტაფონი, (საკ. კორ.). გამოვიდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტების ორგანო — მრავალტირაჟიანი გაზეთი „ფერომდნობელი“.

გაზეთი გააშუქებს ზესტაფონელ მეტალურგთა შემოქმედებითს შრომას სკკპ XXIII ყრილობის გადწყვეტილებათა, ახალი ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. მის ფურცლებზე ფართოდ აისახება პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ცხოვრება, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდის, შრომისნაყოფიერების გადიდების, ლითონის თვითღირებულების შემცირების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის, მეტალურგთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხები.

გაზეთ „ფერომდნობელის“ გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქარხნის ცხოვრებაში.

თითქოს ზაფხულია, ისე თბილა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. ფოტოკორესპონდენტ შ. კუკულავას მიერ გადაღებულ ამ ფოტოსურათზე ნაჩვენებია გაგრის ზღვისპირა პარკის ერთ-ერთი კუთხე.

შესწავლის ობიექტია ტვინი

26 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა ფიზიოლოგთა V სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ცენტრალური ნერვული სისტემის ელექტროფიზიოლოგიის საკითხებს. კონფერენცია მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ადამიანისა და ცხოველის ფიზიოლოგიის“ გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა.

200-ზე მეტი ნეიროფიზიოლოგი, ნეიროქიმიკოსი და ნეირომორფოლოგი განიხილავს ტვინის აგებულებისა და მოქმედების, მისი ელექტროგამოვლინებათა პრობლემებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნისა და ხოციალისტური ქვეყნების თვალსაჩინო მეცნიერები. მათ შორის არიან: აკადემიკოსები ი. ბერიტაშვილი, პ. ანოხინი, რომინელი აკადემიკოსი ო. ბაგერი, ნეირომორფოლოგიის პროფესორები ი. სენტაგოთაი, კ. ლიშაკი (უნგრეთი), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები მ. ლეონოვი და პ. კოსტიუკი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ვ. რუსინოვი და ნ. ბეხტერევი, პროფესორები ო. ადრიანოვი (მოსკოვი) და ა. კარამიანი (ლენინგრადი), ფ. სერკოვი (ოდესა), ვ. ფანარდიანი (ერევანი) და სხვები.

ოლიმპიადის უვერტიურა

ჰავანა დიდი ხაჭიდრაკო პაექრობის მოწმეა. აქ დაიწყო XVII ოლიმპიადა. ხტარტი აიღო 52 ქვეყნის 312 მოჭიდრაკემ.

ნახევარფინალის პირველ ტურში ხაბჭოთა მოჭიდრაკეებს პაექრობა ჰქონდათ შვეიცის გუნდთან. მსოფლიოს ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი საერთაშორისო ოსტატის მ. იუპანსონის წინააღმდეგ. მოიგო პაიკი და პარტიაც. წარმატებას მიაღწია აგრეთვე ლ. შტეინმა. მან მოუგო ე. ვესტმანს. ბ. სპასკისს და ზ. ნილსონს პარტიაში მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ბ. იანოსევიჩსა და ლ. პოლუგაევსკის პარტია გადაიდო შაბათისათვის უკეთეს პოზიციაში.

ანგარიშია 2,5:0,5 ხაბჭოთა მოჭიდრაკეების სასარგებლოდ. 1 პარტია გადადებულია.

გუშინ გვიან ღამით ჩვენი გუნდი თამაშობდა მონაკოს მოჭიდრაკეებთან.

ფინალური ტურნირი

დღეს თბილისში დაიწყება საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი რეგბიში. დასკვნითს ასპარეზობაში გამოდის ექვსი უძლიერესი კოლექტივი.

პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან: „დინამო“ (მოსკოვი) — მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი (კიევი), „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი).

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მაროკოს სამეფო შეიარაღებულ ძალთა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს შორის.

შეჯიბრებას ეესწრებოდა საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი მაროკოს მეფე ჰასანი მეორე. მატჩის დაწყებამდე ჩვენმა სახელოვანმა მეკარე ლ. იაშინმა ჰასან მეორეს სამახსოვრო ვიმპელი გადასცა.

პირველი ნახევარი დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ბურთი სტუმრებმა გაიტანეს. ეს მოხდა 24-ე წუთზე. გოლის ავტორი იყო მუსტაშა (№ 11). მეორე ნახევრის დასაწყისშივე მალაშვილმა წონასწორობა აღადგინა 1:1. ეს ანგარიში უცვლელი დარჩა.

„პასტაპორი“ — ცკა

გუშინ ტაშკენტში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. ითამაშებდნენ ოდესის არმიის სასპორტო კლუბისა და ტაშკენტის „პასტაპორის“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 3:0 ტაშკენტელთა სასარგებლოდ.

ჩაკვლოთ, ჩაკვლოთ

ტელევიზია

28 ოქტომბერი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — მხატვრული ფილმი „დაუდგიარ მოსკოვის ქუჩებში“, 17.55 — ბავშვთა პროგრამა, 18.00 — „ყველაზე ატლანტიკათვის — „ცეროდე